

**საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები
(ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი)
I,II სემესტრი. 2020-2021 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)**

Question 1

აღრიცხვა იყოფა:

Select one:

- ☐ a. ეკონომიკურ და არაეკონომიკურ აღრიცხვად
- ☐ b. ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვად
- ☐ c. პირველად და ორმაგ აღრიცხვად

Question 2

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ელემენტებია:

Select one:

- ☐ a. აღქმადობა, შესაბამისობა, შესაძარისობა, სიზუსტე
- ☐ b. პირველადი დაკვირვება, ღირებულებითი გაზომვა, ბალანსირება, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სისტემა და ორმაგი ჩაწერა.
- ☐ c. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

Question 3

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა:

Select one:

- ☐ a. ხელი შეუწყოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას მსოფლიოს მასშტაბით.
- ☐ b. ორივე პასუხი სწორია
- ☐ c. შეიმუშაოს და გამოსცეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენისას

Question 4

ფინანსური ანგარიშგება არის:

Select one:

- ☐ a. ანგარიშები, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ოპერაციებს ასახავენ
- ☐ b. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების შესახებ სრული სურათი.
- ☐ c. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომლითაც მიიღწევა ნაშთების დაზუსტება

Question 5

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება:

Select one:

- ☐ a. ორივე პასუხი სწორია
- ☐ b. რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება დათქმული თანხის გადახდით
- ☐ c. რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

Question 6

დანიშნულების მიხედვით დოკუმენტებს აჯგუფებენ:

Select one:

- ☐ a. ორივე პასუხი სწორია
- ☐ b. ბუღალტრული გაფორმების; კომბინირებული
- ☐ c. განკარგულებითი; აღსრულებითი

Question 7

სააღრიცხვო ციკლი მოიცავს შემდეგ ფაზებს:

Select one:

- ☐ a. მომხდარ სამეურნეო ოპერაციაზე პირველადი დოკუმენტის გაფორმება და მთავარ ჟურნალში ასახვა
- ☐ b. ორივე პასუხი სწორია
- ☐ c. მთავარ ჟურნალში ასახული ბუღალტრული გატარებების მთავარ წიგნში გადატანა

Question 8

ანგარიშთა კლასიფიკაცია ეწოდება:

Select one:

- ☐ a. ანგარიშებზე ნაშთების გამოყვანას
- ☐ b. ანგარიშთა დაჯგუფებას გარკვეული ნიშნების მიხედვით
- ☐ c. ანგარიშების გახსნას

Question 9

საბალანსო ანგარიშებს მიეკუთვნება:

Select one:

- ☐ a. ძირითადი საშუალებების, მატერიალური ფასეულობების, საკუთარი კაპიტალის, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ამსახველი ანგარიშები
- ☐ b. საპასუხისმგებლო შესანახად მიღებული მატერიალური ფასეულობების ანგარიში



c. იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ანგარიში

Question 10

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანგარიშები ჯგუფდება:

Select one:



a. აქტივების ამსახველ ანგარიშებად



b. ვალდებულებებისა და კაპიტალის ამსახველ ანგარიშებად



c. ორივე პასუხი სწორია

Question 11

საკუთარი კაპიტალის ანგარიშებია:

Select one:



a. მარაგების ანგარიშები



b. ძირითადი საშუალებების ანგარიშები



c. საწესდებო კაპიტალის ანგარიში, რეზერვების ანგარიში, გაუნაწილებელი მოგების ანგარიში

Question 12

სტრუქტურის მიხედვით ანგარიშები იყოფა:

Select one:



a. აქტიურ ანგარიშებად



b. პასიურ ანგარიშებად, აქტიურ-პასიურ ანგარიშებად



c. ორივე პასუხი სწორია

Question 13

ანგარიშებში ასახული ობიექტის განზოგადების მოცულობის მიხედვით ანგარიშები იყოფა:

Select one:



a. სინთეზურ და ანალიზურ ანგარიშებად.



b. საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშებად



c. მუდმივ და დროებით ანგარიშებად

Question 14

შემოსავლების ანგარიშები თავიანთი სტრუქტურის მიხედვით არის:

Select one:



a. პასიური ანგარიშები



b. აქტიური ანგარიშები



c. აქტიურ-პასიური ანგარიშები

Question 15

ხარჯების ანგარიშები თავიანთი სტრუქტურის მიხედვით არის:

Select one:

- ☐ a. აქტიურ-პასიური ანგარიშები
- ☐ b. პასიური ანგარიშები
- ☐ c. აქტიური ანგარიშები

Question 16

გადასახდელი ხელფასების ანგარიშზეთვის დასაწყისში ნაშთი შეადგენდა 60000 ლარს. თვის განმავლობაში დარიცხული იქნა 50000 ლარის ხელფასი, ხოლო გაცემული იქნა 100000 ლარი. რამდენს შეადგენს სახელფასო დავალიანება თვის ბოლოს და ანგარიშის რომელ მხარეს ჩაიწერება იგი?

Select one:

- ☐ a. 10000 ლარი ჩაიწერება კრედიტის მხარეს
- ☐ b. 40000 ლარი ჩაიწერება კრედიტის მხარეს
- ☐ c. 10000 ლარი ჩაიწერება დებეტის მხარეს

Question 17

შეძენილია მიმწოდებლებისაგან მასალები, თანხა გადარიცხულია ბანკიდან. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- ☐ a. დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები“
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
- ☐ b. დებეტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
კრედიტი 1620 „ნედლეული და მასალები“
- ☐ c. დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“

Question 18

შემოსავალი ნიშნავს:

Select one:

- ☐ a. საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას, რაც საბოლოო ჯამში იწვევს საკუთარი კაპიტალის ზრდას მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი შენატანების გარეშე.
- ☐ b. საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას, რაც საბოლოო ჯამში იწვევს საკუთარი კაპიტალის შემცირებას მესაკუთრეთა მხრიდან სახსრების დამატებითი გატანის გარეშე.
- ☐ c. საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას რაც საბოლოო ჯამში იწვევს საკუთარი კაპიტალის შემცირებას მესაკუთრეთა მხრიდან სახსრების დამატებითი გატანის გარეშე.

Question 19

საწარმოს კაპიტალზე გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა::

Select one:

- ☐ a. კაპიტალის ამოღება, ხარჯები, ძირითადი საშუალებების შეძენა
- ☐ b. შემოსავლები, ხარჯები და კაპიტალის ამოღება
- ☐ c. მხოლოდ შემოსავლები დახარჯები

Question 20

საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოსავლების ანგარიში:

Select one:

- ☐ a. იხურება ხარჯებთან შეპირისპირებით
- ☐ b. იხურება მოგება-ზარალის ანგარიშთან კორესპონდენციით, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოსავლები უკვე აისახა მოგებაში.
- ☐ c. შემოსავლების ანგარიშები არ იხურება და ნაშთი გადადის ბალანსში

Question 21

მყიდველს მიეწოდა 6000 ლარის პროდუქცია შემდგომი გადახდის პირობით. ასახეთ ბუღალტრულად შემოსავლის მიღება.

Select one:

- ☐ a. დებეტი 1110 „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ 6000
კრედიტი 6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 6000
- ☐ b. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 6000
კრედიტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 6000
- ☐ c. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 6000
კრედიტი 6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 6000

Question 22

მოიჯარეს წარედგინა ანგარიშ-ფაქტურა გადასახდელ საიჯარო ქირაზე 13000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად საიჯარო შემოსავლის მიღება.

Select one:

- ☐ a. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 13000
კრედიტი 8190 „საიჯარო შემოსავლები“ 13000
- ☐ b. დებეტი 1490 „მოთხოვნები იჯარიდან“ 13000
კრედიტი 8190 „საიჯარო შემოსავლები“ 13000
- ☐ c. დებეტი 8190 „საიჯარო შემოსავლები“ 13000
კრედიტი „მისაღები პროცენტები“ 13000

Question 23

ბანკის მიმდინარე ანგარიშიდან გადახდილია შენობის იჯარის ქირა 30000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად იჯარის ხარჯი.

Select one:

- ☐ a. დებეტი 7420 „იჯარის ხარჯი“ 30000
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 30000
- ☐ b. დებეტი 7420 „იჯარის ხარჯი“ 30000
კრედიტი 1210 „მიმდინარე ანგარიში ბანკში“ 30000
- ☐ c. დებეტი 7420 „იჯარის ხარჯი“ 30000
კრედიტი 6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 30000

Question 24

საწარმოს საკუთარი კაპიტალის ნაშთი პერიოდის დასაწყისში 80000 ლარს შეადგენდა. იმავე პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 25000 ლარი, ხოლო შემოსავლებმა 55000 ლარი. კაპიტალის ამოღება 2000 ლარს შეადგენს. საკუთარი კაპიტალის ნაშთი პერიოდის ბოლოს არის:

Select one:

- ☐ a. 30000 ლარი
- ☐ b. 108000 ლარი
- ☐ c. 28000 ლარი

Question 25

საწარმოს საკუთარი კაპიტალის ნაშთი პერიოდის დასაწყისში 40000 ლარს შეადგენდა. იმავე პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 22000 ლარი, ხოლო შემოსავლებმა 50000 ლარი. კაპიტალის ამოღება 1500 ლარს შეადგენს. საკუთარი კაპიტალის ზრდა პერიოდის განმავლობაში არის:

Select one:

- ☐ a. 26500 ლარი
- ☐ b. 66500 ლარი
- ☐ c. 68500 ლარი

Question 26

დაუკავდათ მუშა-მოსამსახურეებს საშემოსავლო გადასახადი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- ☐ a. დებეტი „პირდაპირი ხელფასი“
კრედიტი „გადასახდელი ხელფასები“
- ☐ b. დებეტი „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი „ხელფასის ხარჯი“

- ☐ c. დებეტი „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“

Question 27

დარიცხულია ძირითადი საშუალებების ცვეთა (ამორტიცაზია). შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- ☐ a. დებეტი 2200 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“
კრედიტი 2100 „ძირითადი საშუალებები“
- ☐ b. დებეტი 2200 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- ☐ c. დებეტი 7170 „ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი“
კრედიტი 2200 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“

Question 28

მიმწოდებლებს გადაერიცხათ მასალების ღირებულება. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- ☐ a. დებეტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- ☐ b. დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები“
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
- ☐ c. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
კრედიტი 1620 „ნედლეული და მასალები“

Question 29

დაიხურა შემოსავლების ანგარიში. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- ☐ a. დებეტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“
კრედიტი 5330 „მოგება-ზარალი“
- ☐ b. დებეტი 5330 „მოგება-ზარალი“
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“
- ☐ c. დებეტი 5330 „მოგება-ზარალი“
კრედიტი 8290 „არასაოპერაციო ხარჯები“

Question 30

დაიხურა მასალების ხარჯის ანგარიში. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- ☐ a. დებეტი 7110 „მასალების ხარჯი“
კრედიტი 5330 „მოგება-ზარალი“
თავი XIV. ფინანსური ანგარიშგების მომზადების ბოლო პროცედურები (2 კითხვა)

- ☐ b. დებეტი 5330 „მოგება-ზარალი“
კრედიტი 7110 „მასალების ხარჯი“
- ☐ c. დებეტი 5330 „მოგება-ზარალი“
კრედიტი 7111 „მცირეფასიანი საგნების ხარჯი“

Question 31

საწარმომ თავისი მყიდველებისაგან 1 სექტემბერს ავანსად მიიღო 35000 ლარი მომდევნო 5 თვეში მისაწოდებელი პროდუქციისათვის (მყიდველს ყოველთვიურად მიეწოდება 7000 ლარის პროდუქცია). წლის ბოლოს გაირკვა, რომ სულ მიწოდებულია 28000 ლარის პროდუქცია (სექტემბერი - დეკემბერი). M მიმდინარე წლის კუთვნილი შემოსავლის ასახვის მიზნით შეადგინეთ ბუღალტრული გატარება მიღებული ავანსის კორექტირებაზე.

Select one:

- ☐ a. დებეტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 28000
კრედიტი 5330 „მოგება-ზარალი“ 28000
- ☐ b. დებეტი 3120 „მიღებული ავანსები“ 28000
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 28000
- ☐ c. დებეტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 28000
კრედიტი 3120 „მიღებული ავანსები“ 28000

Question 32

საწარმომ მიმდინარე წლის 1 ივლისს გადაიხადამომდევნო წლის 1 ივლისამდე კუთვნილი საიჯარო ქირა 48000 ლარი. ყოველთვიური საიჯარო გადასახდელი შეადგენს 4000 ლარს. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება გადახდილი ავანსის კორექტირებაზე.

Select one:

- ☐ a. დებეტი 7420 „იჯარის ხარჯები“
კრედიტი 1720 „წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა“
- ☐ b. დებეტი 1720 „წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა“
კრედიტი 7420 „იჯარის ხარჯები“
- ☐ c. დებეტი 1720 „წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა“
კრედიტი 1210 „ფული ბანკში“

Question 33

წლის დასაწყისში საწარმოს მატერიალური მარაგების ნაშთი 40000 ლარს შეადგენდა. წლის განმავლობაში შეძენილი იქნა 100000 ლარის მარაგი, რომელიც შეძენისთანავე აისახა ხარჯებში წლის ბოლოს ინვენტარიზაციით გაირკვა, რომ მარაგების ნაშთი 60000 ლარს შეადგენდა. მარაგების ფაქტობრივი ხარჯი არის:

Select one:

- ☐ a. 40000 ლარი
- ☐ b. 60000 ლარი
- ☐ c. 80000 ლარი

Question 34

საწარმომ მიმდინარე წლის 1 აპრილს გადაიხადამომდევნო წლის 1 აპრილამდე კუთვნილი საიჯარო ქირა 12000 ლარი და მთლიანად ასახა ის ხარჯებში. ყოველთვიური საიჯარო გადასახდელი შეადგენს 1000 ლარს. შეადგინეთ ალტერნატიული მაკორექტირებელი გატარება ხარჯების კორექტირებაზე.

Select one:



a. დებეტი 7420 „იჯარის ხარჯები“ 3000
კრედიტი 1720 „წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა“ 3000



b. დებეტი 7420 „იჯარის ხარჯები“ 3000
კრედიტი 1210 „ფული bankSi“ 3000



c. დებეტი 1720 „წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა“ 3000
კრედიტი 7420 „იჯარის ხარჯები“ 3000